**მუსიკა კეთილმხახურების დამარცხველი** ყოფილა, როგორც ეპისკოპოსის დიმიტრის წარმოდგენა. ვაზ. „ყუმ მხარე“ გვაუწყებს: „ამას წინად სიხუმის ეპისკოპოსმა მღვდელ-მოავარმა დიმიტრემ კავკასიის ნამესტრის საჩივარი მისცა—„საქალაქო ბაღის მუსიკის ხმები მღვდელ-მხახურებას, ჩემს განსვენებასა და მონასტრში მცხოვრებ პერვების შევიდლიანობას არღვევენ და ამიტომ ვთხოვთ აპროტოლი“. ნამესტრის კანცელარიაჲ ეს საჩივარი სიხუმის ქალაქის თვითმმართველობას გაუგზავნა დასკვნის გამოსატყმელად. ქალაქის გამგეობამ მოითხოვა, ეპისკოპოსის შემადგომლობა უარყოფილ იქმნასო, ვინაიდან დღემოდის ზურგზე არ მოიპოვება ქალაქი, რომ ბაღში მუსიკა არ უკრავდესო.“

**ვალ. შალიკაშვილი** უკვე დაბრუნდა ხონიდან, სადაც იგი საზაფხულო სეზონში რევისორად იყო მიწვეული, და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა. ამ დღეებში ე. შ. ქართლი აპირებს გამგზავრებას პიესა „მსხვერპლი“-ს ზოგიერთი ადგილებისა და ტიპების ადგილობრივ შესასწავლად.

**დრამ. საზ. გამგეობის თაონობით** დღეს, 12 საათზე, დრამ. საზოგადოების სადგომში შესდგება საქართველოს ისტორიისა და საზოგადოთ მწერლობის მცოდნე მოწვეული პირთა კრება, რომელზეც უნდა განიხილოს და შეამოწმოს ისტორიულ პიესათა დეკორაციების ნიმუშები, ტანისამოსი, ბუტაფორია, ავეჯეულობა და სხვ.

**სომხური ითარგმნება** გორდინის „სატანა“ და გოგოლის „რევიზორი“. ორივე პიესა მომავალ სეზონში დაიდგება სომხურ სცენაზე.

**სტამბოლიდან დაბრუნდა** სომხ. ახალგაზდა მსახიობი აზინა, რომელიც ორი წლიწინად იქაურ სომხურ სცენაზე თამაშობდა. მომავალ სეზონში სომხურ დასში მიიღებს მონაწილეობას.

**თათრული თეატრის 36 წლის თავის დღესასწაულს** იხდის შემოდგომად ბაქოს განანა. საზოგადოება „ნიჯათი“ და მთელი მოწინავე თათრობა, 36 წელი თათრებში საუკუნედ ითვლება. მომავალ წელს ასი წლიწინად სრულდება, რაც თათრული თეატრის მამამთავარი მირზა-ფატალი ახუნდოვი დაიბადა, ხოლო 25 წ. რაც გარდაეცვალა. ზოგიერთები თხოულობენ, რომ დღესასწაული მერმის იქმნეს გარდახდლი.

**რევისორი ვლ. ალ.-მესხიშვილი** ავარაკიდან დაბრუნდა.

**ბუღუ მდივანი**, რომელიც მომავალ სეზონშია მოწვეული, უკვე თბილისს ჩამოვიდა.

**დრამატიულ კურსების** მოავარი ხელმძღვანელობდა ელ. ალ.-მესხიშვილს მიენდობა.

**რევისორთა საბჭოში** იქმნებიან ელ. ალ.-მესხიშვილი, ვალ. გუნია, ვალ. შალიკაშვილი და ზოგიერთი ქართველი მწერალი.

### რ უ ს მ ი თ

**ბეჭდვითი საქმის მოავარმა გამგეობამ** აკრძალა მიწინის პიესა „ტარნოესის საქმე“



**ცნობილი დრამატურგმა** ს. ა. ნაიდენოვმა დასწერა ახალი 4 მოქმედი კომ. „საღვთო საიდუმლოება“ და სიმპ. თეატ. დირექტორს გაუზღავნა კიევი.

**პეტერბურგის ქალაქის უფროსს** ერთმა მსახიობმა წერილობით განუცხადა: 1898 წლიდან ანტრეპრენორისგან შთაგონებული ვარ და აქამომდე თავი ვერ დამიხვევია. გავაღწეა აქვს არამც თუ ჩემს ნებასურვილზე, არამედ ჩემს ხმას, მხედველობას და აგებულებას. რადენჯერ მსურდა საჩივარი, მაგრამ 2-3 სიტყვის გადახმა-კი ვერ მოვახერხებო.

როგორ დასწერა ეს საჩივარი, მსახიობი ამას-კი აღარ გვიხსნის.

**თავი მოიწამლა** ნიციერმა მსახიობმა ქალმა ა. ნ. ვოკოვ-მაიკოვმა, რომელიც ნიდაგებე.

**განსვენებული ა. ზ. ბურაკოვსკი** ნაცნობთ ეუბნებოდა ხოლმე: ბებლეთი სიტყვა ყოველთვის თავარწმობით შეპყრობოდა და ძლიერ დავალებულიცა ვარ მისგან... სიბერის ემსაც-კი გამოიწია სამსახური; ცალი განცხადების საშუალებით შევირთო.

**გარდაიცვალნენ** გამოჩენილი მსახიობი მ. პ. სალდესკი და ცნობილი დრამატურგი ვ. ვ. ტუშნოვსკი.

**ლ. ანდრეევმა** თავისი მოთხრობა „იული“ პიესად გადააკეთა ფრანგულად. პიესას პარიზის ერთერთ თეატრში წარმოადგენენ.

### უცხოეთი

**რომში იხსენის წავლამ სახლზე** ღიღის ამბით მიკრეს ფიკარი შესაფრის წარწერითა და დრამატურგის სურათით. ძლიერ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა სოციალისტმა-დემუტატმა ფერობი.

**გამოჩენილმა მუსიკოსმა** რაულ გინსბურგმა დასწერა ოპერა „ივანე მრისხანა“, განსაკუთრებით თ. ი. შალიაპინისთვის, რომლის მონაწილეობითაც წარმოდგენილ იქმნება მონტე-კარლოში.

**ფულით სახელის გაყვებას**, რეკლამის შექმნას დიდი გავლელი ჰქონია პარიზში. ბაღერინა ფედორაე-მეორე მოგვითხრობს: საფრანგეთში პრესით გამარჯვება ფულზე დამოკიდებულია. ფულით თავი შეხებენ ქება-დიდებას, სურათებს და სხ. პარიზში ყოფნის დროს მოვიდა ვიღაც ვაგბატონი და შემომთვაზა — „თქვენს სურათს ფურ. Femina-ს პირველ გვერდზე მოვათქვებთ და ეს მხოლოდ... 1000 ფრანკი ეღირებაო. თუ იაფად გსურთ — შინგითა გვერდზე 500 ფრ. დადებულაო“. თუმცა პარიზის საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის პრესის ასეთი „საქმიანობა“, მაინც უჯვრებს და ბებლეთი სიტყვას დიდი გავლელი აქვს. ჩვენი ხალხი-კი, უცხოეთის სათეატრო ფურნალებს რო ხედავს, უჯვირს: აი, რა კარგად ბებლადენო. ჰაი, ჰაი რომ კარგად დაბებლადენ, ერთი სურათის დაბებლვაში თუ კი ათასობით მიიღებენ!

**ფაზიანეს ნახატი**, კიევის აკლემ-აწიოკების სურათი, ჯერ კიდევ ღიღის მიქიქმა-მოქიქმას იწვევს გერმანიაში. ნახატი გამოუფენილი იყო მიუნხენის გამოფენაზე, მაგრამ რუსეთის მიხის მოთხოვნის შემდეგ მოა-

შორეს. შემდეგ სურათი ფრანკფურტის ერთ-ერთს სალონში გამოუფენეს, მაგრამ ახლა ხან პოლიციის უფროსი ეწვია „სალონის“ პატრონს და მოსთხოვა — სურათი ჩამოხსენიო. სალონის პატრონი დიღს უარზე.

### დაბა-სოფლები

**დ. ხონი.** 31 ივლ. სტენის მოყვარეთა ჯგუფმა ნ. ჯავახიშვილისა, თ. გოვალიშვილისა, ვ. მალევაშვილისა და ნ. გვარამის მონაწილეობით წარმოადგინა „იული და ხარისია“, შემოქმედით. წარმოდგენამ სურათად სუსტად ჩაიარა. თითქმის ეგუდას ექნებოდა როლის უცდინარობა, ზოგერთების ამაში შამაქს იყო მოკლებულია, ზოგერთებს შეუფერებელი კაღთა ჰქონდათ, მკ. სომხის როლების შთამაქეთ: ჩვეულებრივ დაზარაქის დროს სომხურად დაზარაქიდან, ხოლო ხმა მადლა-ქართული კაღთათა. აგრედუე შ. ხონელსკე ვერ გადამოკვდა ლევენ დამასის როლი მთლიანად: სიმშაი-დას დროს სიმთვრალე ექნებოდა, გულმოსულობა — ხსუშა-კა სიფიხაზე. შეტრამტად სუსტობდა. ივლიტაშვილი დაეთ დამასის როლში: იგი მოკლებული იყო ეგუდა იმ დარსუქს, რაც სტენაზე შთამაქეს მთეოსიუბს — როლის ცოდან, შამაქა, დიტა. კარგი იყო ნ. ჯავახიშვილი სიფიხა შრასათვის როლში, თუმცა კაღთა დაზარაქის ებრაელს უფრო უკვდა.

### ტაზეი

**პატარა ჯიხაიში** (იმერეთა). ადგილობრივ სტენის მოყვარეთა მეერ ქეთ. დრ. დასის მსხიანობა უღაბეკაშვილისა და ჩაგვინიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა „და ძმა“, სიკეთისგელის სისარკუბდით. ბლომს ხაღთა დაქსწო. ივერიელი

**ს. კვიციანი** (იმერეთა) ამ მოკლე ხანში დანირის სსზადობების სიკეთისგელის სისარკუბდით ქეთ. მსხიანობა უღაბეკაშვილისა და ჩაგვინიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნებოდა „არსენა“ და ერთად ვადგეულია

### მლო

**ს. შილა.** ამს წინად ადგილობრივ სტენის მოყვარეთა-მეერ ბ. ახისბარელის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა ტრ. რამიშვილის „მეზობლები“ და კ. ეიფანის „დატრიალია ჯარა“. ხაღთა ბლომად დაქსწო, სსგა სიფიხადასარკუბა.

### იელი

**ს. ხაში.** დღეს, 8 აგვისტოს, ადგილობრივ სტენის მოყვარეთაგან წარმოდგენილია იქმნება ივ. გამართლის „ქიხში“ და ვ. გ. იდლის ერთა“. ანტრაქტებში გერმანულ მუსიკათა უნდა. მ. ე. კისლოვოდსკი. 28 ივლ. გამართა სქეველმქიმედო სლამო. დიდდა ხაღთა დაქსწო. სლამომ მსხარულად ჩაიარა.



**ხონი.** კვირას 1 აგვ., გვირგვინის საბუნებისმეტყველო წარმოდგინეს „პირველი მერცხალი“ დრ. 4 მოქმედებას, თარ. ვ. შალვაშვილისა. ზეის თანამედროვე, რუსეთის გლეხთა თჯინის ცხოვრებად აღებული. მობუნებისმეტყველო ითამაშა ტინიანის როლი, და კარგათჳს შესრულა. ქ. ჯავახიშვილმა — უღიანის ფილიპინის როლი და ზედმისწევნიანც დაკვირვება, ნამდვილი ტანით იყო რუსის დედაკაცის. სუსტობდა ქ. თ. გოგოლაშვილი ელენის როლში. ბ. შალვაშვილი თავისუფლად და სუფთად შესრულდა ლუკა-ნიკიტა რამინიანის როლი, კარგი იყო აგრეთვე ბუღუ მდევანი ფილაპ სანინიანის როლში, განსაკუთრებით მეთხვე მოქმედებაში. არა უშავდა რ. ბ. შ. ხონელს ანდრეის როლში, მეტის-მეტე ზნაუნგერეხა რომ არ დაეწყო. ხელს უწყობდნენ ქ. ქ. მ. დოდობერიძე და ლ. დოდობერიძე. საერთოთ ზეისმ კარგად ჩაიარა. ხალხი ბლიამთ დაესწრო, მობუნებისმეტყველო თავიუღებთ დაჯილდოვდეს.

**ა. პლებიშვილი**

**დ. სურამი.** 24 და 25 ივლ. თბილ. სსხ. თეატრის მუსიკალურ განყოფილების სსარტებლად თ. დოდობის თანხმობით გაიმართა წინადათ სახალხო სერანობა, მეორე დღეს დღით საბავშვო დღესასწაული, ხლო სდამთავ კონცერტი. ხალხი ნაკლებად დაესწრო. კაი შთაბეჭდილება მთავრდინეს სხობადგობებზე ქ. ზეთეგოვისამ. ბ. ბროჟი მე დ კორანამ. — სურამიუღებთ მინე ვერ მიეჩვიეს თეატრში წესიერების დაცვას. **სუ — ლი**

**ბახმარი** (ოზურგეთის მხარა). 18 ივლისს სცენის მოყვარეთ წარმოდგინეს ად. თუთაევის „ბეღამი მილატა“, და ნამდვილად ჩვენს სცენას ბედმა უღალატა, რომ — უკანარული პასუხის — ასეთი სცენის მოყვარეთა სავაჯიგახეი განსა, როგორც 18 ივლისს ვნახეთ. საგარკად ამოსულ ინტელექტუალის სირცხვილად ის წარმოდგენეც ეყოფა: ნუ თუ ახლად მანეც არ გამობეჭეტეს ეურების ეს „ინტელექტუალის“, რომ გულ-გრილად არ უნდა შეუფრთხვდეს ხალხის გონებრივ განსრთობას გამართვას?! **ნა — კლი**

**ს. მეჯვრისხევი.** 11 ივლ. ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა ზ. მახალისის მოხალებით წარმოდგინეს ა. ცკარაის „ციმბირელი.“ წარმოდგინების დაწყებამდე ჩვენმა თანამშრომელმა ქმნა ცკვიტიმა დამსწრეთ აუხსნა თეატრის მნიშვნელობა და პიესის შინაარსი. წარმოდგენამ რიგისად ჩაიარა, დიდძალი ხალხი დაესწრო, გლეხკაცობა უფასოდ შეუფრეს. წარმოდგენის გამართულით ახრათ აქეთ შემოსავლით სიმუდამო სცენა მოაწრონ.

**მ — ხელი**

# ყრუ სოფელი

სცენები 3 სურათად, გლეხთა ცხოვრებიან.

**VI**

იგინივე და **ნიკო**, მას მოუყება **ნუცა**  
**ნიკო.** (გაუა სხლის მეთრე თვაღში, ზირ-სახტის გამოატანს და ზირს იმშრალეხს. ნუცა და-თავისთან მივა და დაჯდება) უპ, გამოვკოცხლოდი კაცი... (კოლას) ხარები ხომ კარგად დაბანი, კოლა? არ აეშენენ, თორემ რამეს გააოხრებენ.

**კოლა.** მაგრათ დავაბი, მამა, — ეგრე აეშებინა.

**ნიკო.** (გათავებს ზირს მშრალეხს და ზირ-სახტის ნუცას აძღვეს) აბა, ნუცა, შეინახე..

**ნუცა.** (ზირსახტის გაიტანს, შემობრუნდება და ისევე დათავოს მოუჭდება გვერდით)

**მაიკო.** ხომ არა სკამ ჯერ? წვენი გამ-თბარი იქნება, მოგშვივებოდა კიდეც, დღეს ხომ ცივი მქალის მეტი არა წავილია ყანაში.

**ნიკო.** (ბავშვებს მათუჭდება ახლოს; დათავოს აიყვანს და მუხლებზე დაისვენს) შიშხილით კი მშოი, მაგრამ ჯერ აღრეა. პატარას დავისვენებ, პეტრეს ხარს ვადაუწყვან და მეცე ვჭამ.

**მაიკო.** ხარის წყავანა შენ საღ შეგე-ძლია, — კოლა წაუყვანს.

**კოლა.** მე ვადაუწყვან, მამა.

**ნიკო.** შენ კი არა, მე უნდა წაუწყვანო და ზევისთვისაც ვთხოვო, შევივებუწები — უარს არ მეტყვის; თუ მინცა და მინც უარი მითხრა, ერთი ორი დღით მიხმარებხს დავპირდები.

**მაიკო.** (მეწუხებულა) დალილი რომ ხარ...

**ნიკო.** აბა, რა ექნა! კიდე ერთი ნაპერი მიწა თუ არ მოვხანი დროზე, რა მეშველებოა... მეცე იქნება ღმერთმა წვიმა გვადირსოს. ყველა თავისი სანავი ექნება და ხარს მე ვილა მათხოვებს.

**დათიკო.** (ხეოს უღავაშეზეც კოტინება) მამა, შენ ლაზე გაქ ასე მოკლე უღავაშები? აქ ლო კაცი იყო გულშინ, იმის დიდი ქონდა.

**ნიკო.** (აჯავრეს) ლაზე და იმაზე.

**VII**

იგინივე და **ივანე** შუა კრით  
**ივანე.** გამარჯვება თქვენი.  
**ნიკო.** (წამადგება) ღმერთმა ვაგიმარჯოს!  
**მაიკო.** (აჯგება) ღმერთმა ვაიკოცხლოს, ბატონო! (სვამს შირთმეცხს) დაბრძანდი, ბატონო!

**ივანე.** მგონია დღეს სახნავში იყავი, ნიკო. როგორი სახნავი იყო?

**ნიკო.** როგორი და საძაველი. მეც მოვკვდი და ხარებიც დავხვალე. რა ვქნა, ცალი ხარის ამარა რომ ვარ, თორემ ამისთანა ამინდში სწორედ არ იხდება...

**ივანე.** ნიკო, შენ დღეს ღამის საყარაულოში ხომ არ ხარ გაწვეული?

**ნიკო.** დღეს არა და მომავალ კვირაში-კი...

**ივანე.** ღმერთმა დააქციოს ჩვენი მამასახლისის ოჯახი, — საქმე გაგიჭირა: საყარაულო ქაზები რომ მოგვადობინა, ი ქურდები ისე სულელები როგორ იქნებიან, რომ მიინც-ღამინც იქ გამოიარონ?!

**ნიკო.** თუნდაც გამოიარონ, — მერე რა?!. ორი და სამი კაცი რას დააკლებს, ისიც ჩვენისთანა იარაღით! მოგცემენ უნაგიან თოფსა და — ჩემი კოლა კითხულობდა წიგნში, იმისი არ იყოს — ტყეხლი რომ დაადო — მინც არ გავარდება. ქურდებს-კი მერდანის თოფები არ აკლიათ, რევოლვერი და ხანჯლები.

**ივანე.** ტყუილად გვაწვალებენ...

**ნიკო.** აი, ღმერთმა დაშამათოს მათი თავი და ტანი.

**ივანე.** კანონის მოთხოვნილება არისო. დილას „პოპოშნიკი“ მომადგა და ერთი ვერსიდან მიყვიროდა: „თუ ამაღამ საყარაულოდ არ გამოხვედი შენ, ან შენი შვილი; დაგაჯარიმებო,“ მეტი რა ღონეა, უნდა წავიდე... — ჩემი შვილი დღეს ტყეში იყო და დაღლილი კაცი როგორ-გავუშვა, — ისევ მე უნდა წავიდე, 65 წლის კაცი.

**ნიკო.** რაა მერე, ჩემო ივანე? რას დააკლებ იმ წყუთლ ქურდებს?!

**ივანე.** რომ ვერას დავაკლებ, მეც კარვად ვიცი, მაგრამ კანონის მოთხოვნილებას ხომ შევასრულებ, და სხვას არას დავეძებ...

**ნიკო.** ეხ, ვითომც ჩვენი სიცოცხლეც სიცოცხლეა! როგორ უნდა გაუძლოს კაცმა?!. აი, ესაო, აი ისაო, — ყველაფერი გლეს კაცს აწეეს ვალად: გზა არის გასაკეთებელი, ჩვენ უნდა გავაკეთოთ, საყარაულოა — ჩვენ უნდა ვიყარაულოთ და ვინ ჩამოსთვლის! სხვა კიდევ არაფერია, მაგრამ ამ გზაზე ხომ მარტო ჩვენ — გლეხები — არ დავიარებით?! აზნაური შვილები ჩვენზე ნაკლებათ დაიარებიან და სარგებლობენ ამ გზით?! ქურდები თუ ჩვენ გვაწუხებენ, აზნაური შვილებს-კი არ აწუხებენ? ჰოდა, აბა, ერთხელ მინც

თუ გინახავს აზნაური შვილი ან გზაზე სამუშაოდ, ინ საყარაულოში?

**ივანე.** აზნაური რის აზნაურია, ნიკო, თუ გზაზე სამუშაოდ გამოვა?!

**ნიკო.** ვითომ რატომაო?!

**ივანე.** თავიდანვე ასეა დაწესებული კანონით, ჩემო ნიკო, და ახლა რა უნდა ვქნათ.

**ნიკო.** არა, ეგ სწორედ დიდი უკანონობაა...

**ივანე.** უკანონობაა თუ არა, ასე კია და.

**ნიკო.** არ მესმის, გამჩენს ვფიქვავ, მარტო ჩვენ, გლეხები, რაზე ვართ დაჯაბნილი!.. აზნაური ჩვენ გვიბრიყვებს, მამასახლისი და მისი ნაცვალი. ხმას ამოიღებ და მათრახი შენთვის არის მზად, — როგორ გაბედე კრინტის დაძვრა, ეგ კანონის მოთხოვნილება არისო... თუ მართლა ამისთანაა ეს კანონები, მაშინ ყველა კანონები ჩვენს წინააღმდეგ ყოფილა მიმართული. შეძლებული გლესები რომ არიან, — აი, ჩვენი მუშობლები, — იმათ მინც რატომ არ იწვევენ ამ გზაზე სამუშაოდ და საყარაულოში, თუ ესეც კანონის მოთხოვნილებაა?!

**ივანე.** ეჰ, ყველაფერი ღვთის ნებაა, ჩემო ნიკო, ღვთის ნება! ასე გაუჩენია ღმერთს, ასე დაუწერია გლესი კაცისათვის და ალბათ აგრევე იქნება.

**ნიკო.** ღმერთი აქ არაფერ შუაშია, ივანე. დიმიტრა — მამასახლისი ღმერთს როდი ეკითხება: რაც მოუხდება და მოვესურვება, ის არის მისი კანონი.

**ივანე.** ეჰ, ვერას გაიგებ, კაცი... (წამოხატება) შენ ხომ მინც არ იცი, ნიკო, დღეს ვისი ჯგერია ყარაულობა.

**ნიკო.** რა გითხრა, — სწორედ არ ვიცი.

**სონა.** გოგია უნდა იყოს. წელან ვიყავი იმათსა და ლაბარაკობდა, ამაღამ საყარაულოთ უნდა წავიდეო.

**ივანე.** გოგია, ჩვენი დათიასი?

**სონა.** დიას, დათიას გოგია.

**ივანე.** ღმერთმა გიშველა, რომ გამაგებე... საცაა დაბნელებდა კიდევ; წავალ და მოვემზადები. მშვიდობით...

**ნიკო.** (აღგება და კარებამდე აცალებს) მშვიდობით! (აგახე გადის)

**მაიკო.** რა ეყარაულება ამ საწყაოს მოხუცებულს, ფეხებს ძლივს დაათრეეს...

**ნიკო.** რა და, დიმიტრის კანონი.

**მაიკო.** აი, კანონი და შავი ქვა მის თავსა და ტანს. (ბაჟსა)



**ნიკო.** მართლა, კოლა, დღეს შენი „უჩიტელი“ ვნახე.

**კოლა.** (ერთხმად) სად ნახე?

**ნიკო.** ნაკლასებს ქალაში წამოსულიყო სანადიროთ და ჩვენ საყანესთან გამოიარა; რომ დამინახა, მოვიდა ჩემთან და ცოტა ხანს მელაპარაკა...

**მაიკო.** რაზე?

**ნიკო.** კოლა მიქო: ნიჭიერი და ბეჯითი ყმაწვილიაო; როგორმე გაიჭირე და ერთი-ორი ანზანი ასწავლეო. მეც დავებმარები, სასწავლო გადასახადიდან გაგინთავისუფლებო. (კოლას სხუე გაუბრწყინდება) რა ვქნა, არ შემიძლია-მეთქი, მაგრამ იმდენი მელაპარაკე, კიდევ აფიქრებდი რამეს, რომ ცოტა საშუალება მქონდეს. მთელს სასწავლებელში საუკეთესო მოწაფეო. თუ ეცდები და ამ ჩვენი სოფლის სკოლას დაასრულებინებ, მე უფასოთ მოგიმზადებ, საუჩიტლო სემინარიაში დავაჭერანებ ეგზამენს და სახელმწიფო ხარჯზე მივალეზინებო. სემინარიას ოთხ წელიწადს ვაათავებებს და „უჩიტელი“ იქნებაო.

**მაიკო** ღმერთმა მისცეს სიკეთე და ტანის სიმრთელე კარგი რჩევისათვის, მაგრამ ამდენი სად შეგვიძლია? კოლა ჯერ მეორე წელიწადია სწავლობს და მანდ ბარე ხუთი წელიწადი უნდა იყოს; კიდევ სამი წელიწადი მოუწდება.

**ნიკო.** მეც ვგ არ ვუთხარი! ნეტავი წელს არ გამოვიყვანდე ამ წლის სკამის დასრულებამდე და ღმერთს მადლობას შევწირავ...

**მაიკო.** რაც უნდა დავგემართოს, ეს უნდა გავათავებინოთ.

**ნიკო.** კი დავგემართოს, კარგია, მაგრამ სკოლაში მეცადინეობა შუა ივნისამდე გრძელდება; მე ვფიქრობდი, ყანების სათოხნავათ წახებმარებთქო.

**კოლა.** მამა, სწავლის უკან მოგვებმარები აქ. ეზოს ყანას სულ მარტო მე ვავთოხნი, ოღონდ ნუ გამომიყვან.

**ნიკო.** ვნახოთ, შეილო. თუ როგორმე ცოტად მაინც შევიძლე, შენს ცოდვას არ დავიღებ.

**მაიკო.** იმისთანა დრო დავგიდგა, რომ უსწავლელი კაცი ერთ გროშათაც არ ღირს; უსწავლელი კაცი ყველას ჯაბანია.

**ნიკო.** ეს მეც-კი ვიცი, მაგრამ შეძლება

რომ არა მაქვს.. (ხუტას) ნუცა, გადი, შევილო, და ხარები ნახე, მორჩენ ჩაღის კამას, თუ არა. (ხუტა გადას)

**კოლა.** სემენარიაში თუ შემიყვან, მამა...  
**მაიკო.** ნეტავი შენ სემენარისტობას მომასწავრობდეს ღმერთი...

**ნუცას ხმა** (გარეჯან) სეფე, სეფე... გამოიშვი ხელო.

**სეფეს ხმა.** არ გავიშვებ.

**ნუცას ხმა.** ნუ მჩქმეტ!

VIII

ივანივე, **სეფე** და **ნუცა**

სეფეს ახალუხა საღებავათ ჭქეს დასვრიალი. ცალ ხელში საღებავი და ჩოთქი უჭირავს.

**სეფე.** (ხუტა ხელზე აუყვანიალი შემოქაყეს) ახლა გავიშობ. (ძიანს დაუშვებს) გამარჯობათ, მასპინძლებო!

**ნიკო.** გავიმარჯოს! (სეფეს შემოსვლას ეგვიდან სიხარულით ეგვიტახან) რაა, კაცო, რომ თავიდან ფეხებამდე საღებავში ამოსვრილობარ?

**სეფე.** (ჩოთქს მოაუღერს) თუ გეხარებება, ჩემო ნიკო, შენც შეგიღებავ ახალუხს.

**ნიკო.** (გაქსუე გადაახრება) იქით, კაცო! მართლა არ მომისვა.

**სეფე.** ახლა თუ არ გინდა, შეგებეწეწები სწორეთ! შეღებავში მე ფულებს ვიღებ და შენ თუ-კი უფასოთ შეგღებ-შეგალამაზე, რა გავუხებეს?! (კაღვე მოაუღერს)

**ნიკო.** იქით-მეთქი, კაცო!.. რა ჰქენი ნუცა, ნახე ხარები?

**ნუცა.** კი, ვაუთავებიათ...

**ნიკო.** (წამოადგება) აბა, მე ახლა ბარემ ხარს წაიყვან. შენთან უკაცრავად, სეფე, მაგრამ მაინც-და-მაინც არ მოგერიდები, შინაური კაცი ხარ.

**სეფე.** ბიჭოს, შინაური ვარ, მაშ გარეული ხომ არ ვიქნები...

**მაიკო.** ჯერ ცოტა გექვამა რამე: წვენიც შეთებობდა, სეფეც დავგეწვევა, თუმცა შავის საკადრისი-კი არაფერი გვაქვს, მაგრამ ანდა-ხად ნათქვამია „კი გულით მორთმეული—პატარაც არ დაიწუნებისო“.

**სეფე.** ერი ჰა, მოჰყვენ ბოდიშებს! ჩემთვის ნუ სწუხდებით; მე კარგადა ვარ გამოზუნთული; დღეს მამასახლისის სახლის ღებვას მოვრჩი და ღოზათიანადც შევყაყოლეთ.

**ნიკო.** მაშ მიორჩენია, ჯერ ხარი მიუუყვანო პატრონს.



**სეფე.** მეც წამოვალ. (აღვაძა)  
**სონა.** შენ რა გეჩქარება, სეფე?! დაჯექი ცოტა ხანს.

**მაიკო.** რა იყო, შე კაი კაცო! ჯერ არც კი შემოსულხარ და ახლავე გაქცევა რა არის? ამ ბოლო დროს მთლად აიკარი ფეხი და აღარ გვეკარები.

**ნიკო.** უკან გამომყვიცი-მეთქი, არ მითქვამს, შე კაი კაცო! რა გაჩქარებს? დაჯექი. (გადას)

**სეფე.** თუ ასე გინდათ ჩემი დაცდა, აპა, ბატონო! (აღვაძა)

**სონა.** შინ! ცოლი არ გიტყვის და შეილი...

**სეფე.** მეზობლები მე არ მყავს და დამა: ერთად-ერთი ტულე ბიჭი ვარ.

**კოლა.** რამდენი წლის იყავი, სეფე, დედამა რომ მოგიკვდა?

**სეფე.** ბარე თორმეტისა...

**კოლა.** რა ადრე დაგზოცია!..

**სეფე.** ადრე?! მე ის მიკვირს, ჩემმა მამულ-რებელთ ამდენი როგორ იცოცხლეს...

**სონა.** (იფანას) რა ცივანი ხარ, სეფე!..

**მაიკო.** ეს სამი დღეა არ სჩანდი, სეფე, სად იყავი?

**სეფე.** სად და საცოლოს სანახავათ.

**სონა.** ისევე ღმერთი გიშველის, მართალს ლაპარაკობდე.

**სეფე.** (ჩქარა ამოაღაპარაქებს) მამა ნუ მამიკვდება. (ეგველანი იფანას)

**სონა.** მამაშენი, კარგა ხანია, წაწოლილა.

**მაიკო.** რა უდროვობაა შენი ცოლის შე-როთვა; რამდენი წლის იქნები?

**სეფე.** დღეს შევისრულე 32. ცალი ფეხი გადავდგი კიდევ ოცდა-მეცამეტეში

**სონა.** დრო კი ყოფილა, პალე თავში თეთრი გამოგურევა და მერე არავინ წამოგყვება, თუ ღროით არ შეეცადი...

**სეფე.** დრო ყოფილაო?... როგორ, ქორწილში ქეიფი ხომ არ მოგინდათ?

**მაიკო.** რატომ: შენ ცოლი—ჩვენ ქეიფი!

**სეფე.** კაი ყოფილა დედო-პური და მისი კვერები... მე ქირი გადავიცილო თავზე და თქვენ იქეიფოთ, არა? ამან შარისგან—ცოლ-შეაღისგან.

## IX

ივანე და ფროსიკო

**ფროს.** (პარქაში უჭირავს) აქა მშვიდობა.

**მაიკო.** (წამოადგება) მშვიდობა და კარგად ყოფნა ნუ მოგიშალოს ღმერთმა.

**სეფე.** (სწრაფთა წამოადგება, ხსლუქს მის-წორ-მისაწორებს, მიეგებება ფროსიკოს და ორივე ხელს აძლევს) ქალბატონ ფროსიკოს სიცოცხლე და კარგად ყოფნა. როგორ მშვიდობით გიკითხობთ, ქალბატონო?

**ფროს.** რა არის, ბიჭო, რომ მაინცა-და-მაინც ყველაფერს გადააპარბებ.

**სეფე.** ბიჭოვო?! რა დროის ჩემი ბიჭობაა, ჩემო ფროსიკო?!. ბიჭი არაა, შენს მოყვანაზე ცხოვნებული შენი ქმრის მაყარი მე ვიყავი; შენზე უმცროსი კი არ გეგონო.

**მაიკო.** დაბრძნდი, ფროსიკო!

**ფროს.** (აღვაძა) ბიჭი ხარ, მა რა ხარ? უცოლო კაცს მე ბიჭს ვეძახი.

**სეფე.** ახირებული ქალი ხარ, ფროსიკო. ბიჭი რათა ვარ?! დროზე რომ ცოლი შემერთო, ახლა თვითონ ბარე სამი ბიჭი მეყოლე-ბოდა. მართალს გელაპარაკები, შენ არ მომიკვდე, და შენს ცქერას არ მომაცლოს ღმერთმა.

**ფროს.** რაა, ბიჭო, რომ მასხარად მივდებ ქერივ ქალსა?

**სეფე.** ღმერთო, მომკალი და გამათავი!.. ჩემვან ადამიანის მასხარათ ავღება, და ნამეტნავად ქერივი ქალისა, გაგიგიათ და გსმენიათ ინი-მეს?! პირიქით,—ქერივი ქალების მე დიდი პატივისმცემელი ვარ. (ემშაქურას დამაღათ გად-ხედავს სიხას; უველანი იფანას, კარდა ფროსიკოსი)

**მაიკო.** სეფე, ნუ ხარ ეშმაკი...

**სეფე.** რას ბრძანებ, ბატონო?!... ეშმაკი კი არაა, ნამდვილი ანგელოზი ვარ, ეშმაკმა წაიღოს ეშმაკის სული და ხორცი, მე თუ რამე ეშმაკობა მქონდეს გულში. (სერათა სიგადაა; ფროსიკოსაც გაუღიმება)

**სონა.** ეშმაკის სული და ხორცი-კი ეშმაკმა წაიღოს, მაგრამ შენი?

**სეფე.** ჩემი სული და ხორცი? ჩემს სულსა და ხორცს აგერ, ჩავაბარებ ფროსიკოს, ჩემს მარგალიტს, ჩემს თვალის სინათლეს...

**ფროს.** (არ ესამაყნება ეს უკანასკნელი ხუმრობა) დაილუბე იქით, ბიჭო! თავს არ დამანებებ?!  
**სეფე.** სულ დავიღუბე, შენ გენაცვალოს სეფე—ბიჭო?!. შენს იქით გზა რომ არა მაქვს...

**სეფე.** შენს შემოგყურებ იმდენს თვალით, შენით ვცოცხლობ—შენით ვნუგეშობ.

**ფროს.** (შოთამისუბიდან გამოსული) რა გინ-

და, ბიკო, ჩემგან, რომ ჩამაცივდი და აღარ მეშვები... არ მომწონს ევ შენი საუბარი და აღარ მოგიტყობები!

**სოფე.** ახლა ვითომდა რაო, ცერცვივით რომ ხტიხარ?! ლამაზი კი ხარ, მაგრამ მაინც ნაქერივალი ხარ და ჩემზედ უკეთესი ვინ გავიარ-შეიყვლება?! არ იცი, თორემ როტშილდის შეი-ლი მოვა და ახლავ მოგიტაცებს!

**ფროს.** ღმერთმა დაგწყევლოს და დაგ-შუბოს, რომ მყრალი და უზიაკი ენის პატ-რონი ხარ... უსინდისო, გაფუქებულო.

**მაიკო.** კაია სეფე ნამეტანი არაფერი ვარგა.

**სეფე.** უკაცრავათ, ბატონო! (წაშოღვება)

მე ეხუშობოდი და, თუ მავას ეს ეწყინა, ვაჭუ-მდებო-კი არა, მთლად მოეშორდები აქაურობას.

**ფროს.** მეწყერსაც უზიღნია შენი თავი ღე ტანი.

**სეფე.** მეწყერს იქითაც, თუ თქვენ გავე-ხარდებთ. უკაცრავათ, მშვიდობით ბრძანდე-ბოლდო... (გადას)

**მაიკო.** თუ დაიწყო მაგ უბედურმა, რომ არ გადაამეტოს, არ შეიძლება...

**სონია.** მეერ რა არის... ხუმრობა უყვარს და ეს როგორ უნდა გეწყინოს?

**ფროს.** შენ ხო იცი, შვილო, მეწყინება მაგის სახუმრო და სამასხარო რათ ვიქნები ამოდენა ქალი?!

**მაიკო.** (უნდა ფროსივთს უსამიფხება გადა-ფიწუოს) კარგია, ქალო, ამისთანა გვალვები რომ დაგივლდა, საწყალო ჩემს ქმარს დღეს ერთი კვა-ლი მიწა ძლივს ჩამოუხნავს...

**ფროს.** ღმერთმა მეტი შწო მისცეს... მე ვიკითხო საწყალომა ქერივმა, უსუსური ობლე-ბის პატრონმა, თორემ თქვენ რა გვიტორო.

**მაიკო.** გაჭირვებით. ჩვენც ძან გვიჭირს, შენი ქირიმე, მაგრამ ვინ არის გამკითხავი?..

**ფროს.** (ამაიხარებს) ჩემი სახნავები ხელ-უხლებლათ ყრია... (წაშოღვება) წასვლის დროა, საცაა დაბნულდება.

**მაიკო.** რა გეჭაჩრება, შე ქალო? იჯექი პატარა ხანს. (სიხანს) სონია, ქრაქი ანთე, შვი-ლო, ხედავ ბნულდება.

**სონია.** ახლავე. (შადის, მოაქვს ჭრაქი და ან-თეს)

**ფროს.** კარგი დაგემართოს, თქვენთან ყო-ფნა კარგი იყოს, მაგრამ უსუსური ბაღლები მეშევიან სახლში, მეშინიან, რამე ფათერაკი არ

მოახდინონ... მაიკო, ერთი ბარქაში ფქვილი მასესხე ბავშვებს ვახშმად მჭადი მაინც თუ არ გამოივტახე, ამიკლებენ...

**მაიკო.** კი, ბატონო. სონა, გამოართვი ბარქაში და გაუტყე. (სიხანს შადის, კოდაღან ფქვალს იღებს და პარქაშზე უყრას)

**ფროს.** ერთი კვირაა დაფქვილი წისკვილ-ში მიგვლია და მომტანივეკრავინ ვიშოვნე...

**მაიკო.** გეტუვა, შე დალოცვილო, და ჩემი კოლა ამოვტიტანდა.

**კოლა.** მე მოგიტან ხვალ სწავლის შემდეგ...

**ხმა (გარეაღნი)** ნიკა, ჰაი, ნიკა!

**მაიკო.** (შეკრება) გახედე, კოლა, მგონია ბორჩიკია... თუ ბორჩიკია, უთხარი ცოტა და-გვიცადე — მოგართმევთ-თქო! (ხმა შეორდება)

**კოლა.** ბორჩიკი უნდა იყოს! (უკვლახა შე-წუხებულა გადახედავენ ერთმანეთს)

**ფროს.** ეს დასალუბავი მეც კარზე მადგია. არ ვიცი, რა წყალში ჩავარდე! თუ ამ ორ დღე-ში არ შემოიტანე, ძრბხას გავგიყლიდო. მეუქა-რა რომ შემისრულონ მაგ წყულეებმა, მეერ რაღა ეშველება ჩემს ობლებს, — იმ ძრბობით ვუბ-რუნებ სულს.

**მეხარკის ხმა.** "ერთი კვირა" მე არ ვიცი, თუ ახლავ ფული არ მოგიტან, სახლს დაგირ-ბევეთ. ასე მაქვს ანაბრანები მამასახლისისგან... "აი დღეს, აი ხვალა" — მატყულებთ... ასჯერ კი მომიყვანეთ აქ.

**მაიკო.** (შემხანებულა იხედავს აქეთ-იქით) სწო-რედ დამარბევენ ეს შეჩვენებულები...

**სონია.** (ფროსივთს ფქვალთ სავსე პარქაშს აძლევს) რა ვქნათ ახლა. დავიღუბეთ... მამაჩე-მი მაინც იცევს სახლში. (წუფა და გიორგი გაოცე-ბულ-შეშინებულა შეკუურებს ხს ერას ხს შეარეს)

**ფროს.** ღმერთი არა სწამს ამ ხალხს?! მალ-მალეო, რომ იძიბიან, დაბრძობა ხომ არ არის!

**მეხარ ხმა.** "შინ არ არის" მე არ ვიცი. გამომეყვი, სტრატეიკო, სულ დავარბევე, თუ კი რამე მოიპოვება სახლში.

**მაიკო.** რა ვქნა... დავიღუბე, შვერცხვი!..

**მეხარკის ხმა.** (იან და თან ახლოვდება) მე გაჩვენებთ, როგორ უნდა ცაკის მოტყუება და წვალდება... აბა, მიყურეთ!

(შემდეგი იქნება)

ივ. ქავჭავანიძე

რედაქტორ-გამომცემელი ოსებ იმედაშვილი



# სსსსსს

ყოველდ. საპოლიტიკ სალიტერ. გაზეთი. წლიურად 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. საზღვარგარედ 14 მან. ნახევარი წლით 7 მან. რედაქტ.-გამომც. ზ. ტყემელაშვილი ადრესი: Тифлиси, тип., «Шрома», Кал. Кон. Цуладзе.

# სსსსსს

ყოველ-დღ. საპოლიტიკ. სალიტერატ. გამოცემა, კვირეული სურათებიანი დამატებით წლიურად 8 მან. ნახევარ წლით 4 მან 50 კ. რედაქტ.-გამომცემელი დ. სრამელაშვილი ადრესი: Тифлиси, Большая Ванкская ул., № 12, Сем. Пашалашвили.

# ჯეჯილი

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნ. XXI წ. წლიურად 4 მ. თითო წიგ. 40 კ. რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.- წერეთლისა

# სოფელი სსსსსს

(თბილისის მაზრა, სართიქალის ნაწილი) კვირას, 8 მარამობისთვის 1910 წელს ქართული დრამატული დასის მსახიობი იოსებ ზაქ. იმელაშვილი-ხაშვილი საცენო ხელოვნ. მოყვარ. დახმარებით გამართავ წარმოდგენილი იქნება

# ქოხში

დრამა ნ მოქ. ივ. გომართლისა

# დედის ერთა

ვოდევილი ერთ მოქ. ვ. გუნისაი მონაწილეობენ: ქ.ქ. ნახუცრიშვილი, ნინოანისა, ბაქრაძე, ჭიპაბრაშვილისა, ზუკაქიშვილი, ხაბაზიშვილი; ბ.ბ. გოგინიაშვილი, გელოვანი, იმელაშვილი-ხაშვილი, ლალიძე, ქოქრაშვილი, შარაშენიძე და სხვა.

გერმანელ მემუსიკეთა გუნდი მარიენფელდთან. წარმოდგენაზე დასწრების მსურველს პატრეცემული საზოგადოებას ესთხოვთ ბილეთები ადრევე შეიძინოს წარმოდგენის დროს ხმაურობის თავიდან ასაცილებლად. რეჟის. ი. იმელაშვილი-ხაშვილი | გამკვ ვ. შარაშენიძე

# ნაკადული

საყმაწვ. სურათ. ჟურნალი წელ. VI

24 წემიერე წლო — თვის III 12 მიმზრ — თვის

4 პრემიით წლ. 5 მან., ნახევარი წლით 3 მან. რედ. ნაკაშიძე გამომცემელი პ. ი. თუმანიშვილი

კვირას 8 აგვისტოს

# ქართულს სამთხულო თეატრში

გამართება უმსანიშნავი ფრანგული

# ჭილაობა

ბ ე ნ ე ფ ი ს ი ე ი შ ნ ი ს ა



ცნობილი მოქიდავის ეიჟენის ხელმძღვანელობით. ჩამოსულია 20 მოქიდავე ფილაგანი. კვირას იქიდავენ ხუთი წყვილი ფილაგანი. ადგილების ფასი 30 კ.—2 მან.

# შველასათვის ხელმისაწვდომი

ქილაობის დაწყებამდე სინემატოგრაფა უჩვენებს სინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს.

**НОВАЯ РЫЧЬ** Ежедн. общ. полит. литературная газета На годь 7 руб., 1/2 года 4 руб. помѣсячно 75 коп. Тифлиси, Дворцовая ул. Груз. Двор. ред. «Новая рычь». Ред. П. Д. Бебиевъ. Издат. П. А. Готуа

**ЗАКАВКАЗЬЕ** Ежедневное издание. За годь въ Тифлиси 6 руб. полгода 3 р. 50 к., въ друге города—8 руб., —4 руб. 50 к. — Тифлиси Эриванская площадь, д. Гургенова: Ред-изд. Кн. Г. И. Амирад-жиби.

მადნეულის, ხილეულის და სამკურნალო წყლის

ქ ა რ ხ ა ნ ა

მ. ლალიძის და ამხ-სა

თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 6 ტელეფონი № 411.

# ჩვენნი ქარხნის წყალი

მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნით და საუკეთესო ხილეულის შარბათით გამოხდობის წყლითა და წმინდა შაქრით.

წელი მზადდება კაუმფაბრიკებულ „ვაკუმი“ მანქანებით სპეციალისტის ხელმძღვანელობით

მუშეგარი ადგილად დარწმუნდება, რომ ჩვენი ქარხნის

 **წ ყ ა ლ ი** 

მ მ ვ ე ნ ი ა რ ი ს ბ ა მ ო ს ი და ს უ ნ ე ა ლ ა ბ ი ს ა ა ,

და თბილისის სამკურნალო განყოფილების ანალიზითაც

== მისი კარგი ღირსება დაჯილდოებულია ==

ამიტომაც ჯანმრთელობის გულისთვის ეს ქარხნა ურჩევს აბ. მამხმარებლათ, ეურადლება მაქციათ, რადგან ზოგაერთა ვაჭრები ჩვენის სახელათ სხვა ქარხნების უფრო იაფსა და მამსგავსებულ წყალს ასადებენ.



მოითხოვეთ ეველგან **მ. ლალიძის** და ამხანაგობის **წყალი**

და ამასთან მიაცხიეთ **ქ უ რ ა დ ლ ე ბ ა**

 **თავსაცობი ჩვენი ქარხნის ბეჭდით** 

ქარხანა ხილეული წყლით **წრჩინებულ თვისებისათვის** დაჯილდოებულია ოქროს და ვერცხლის დიდი მედლით

